

რედაქცია:

თბილისი, სასახლის ქუჩა, სათაველ-
სენაურის ქარვასი.

ხელის-მომწერი გაზეთის დასაკრებლად მიმართვენ
რედაქციას დღის 10 საათიდან 3 საათამდე და
საღამოს 6—7 საათამდე და წერა-კითხვის გამ-
სახარებელთა საზოგადოების წევრის მალაზიას.
ხელმოწერა წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლე-
ბა ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

ფუნქციონირება

სოციალ-დემოკრატიული სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასი

ერთი წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკა
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 4 კაპ.

Редакция

„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“

Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства

Телефонъ № 363

ამთ ეუწყება ქართველ ინტელიგენციას, რომ
სუთშაბათს, 23 აპრილს
წმ. გიორგის (ქვაშეთის) ეკლესიაში გარდახდით იქნება პანა-
შვიდი ქ. მინსკში გარდაცვალებულის
გიორგი ქოჩაქიძის ჭალადიდელის
სულის მოსახსენებლად. (5-1)

ფოთის ქალაქის გაბეგობა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 23 აპრილიდან ქალაქ ფოთში გა-
იხსნება ავადმყოფთათვის
ქალაქის სამკურნალო
ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ-დღე შემდეგი ექიმები:
ქ. ა. მაქსიმოვი — შუადღის 12 საათიდან 2 საათამდე
ს. ა. ტურნავაძე — დღის 10 საათ. 12 საათამდე
დ. ს. ტურნავაძე — საღამოს 4 1/2 საათ. 6 1/2 საათამდე
ფასი თითო რამისათვის 20 კაპ.
ღარიბთა და უმწეოთ, რომელთაც ქალაქის გამგეობა აძლევს ამისათვის
განსაკუთრებულ ბილეთებს, სწამლობენ უსასყიდლოდ იქვე. სამკურ-
ნალოს აფთიაქიდან. (3-1)

უბის წიგნი
სულ
გაიყიდა
და ამიტომ რედაქციიდან ნუ-
რავინ დაიკვეთავს.
ქირსპლეზა სამი
ოთახი
სამზარეულოთი და წყლით
და ყოველგვარ ზეგნით და
მართულად მოთხის თვით
პირველ ენკენისთვემდე
ფრანგების ქ. ტერ-პეტრუზოვის სახლი
სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

ახალი ამბავი
* * * განაღდება დირექტორის
თანამდებობაზე სათავად-ანაურო
ბანკში უკვე საკმაოდ გამოირკვა:
კენქს იყრიან დირექტორის თანა-
მდებობაზე ოთხნი: თავ. ალექსან-
დრე ზაალის ძე ჩოლოყაშვილი,
დირექტორადვე ნამყოფი და ეხლა
წვერი ზედამხედველი კომიტეტისა,
პაველე როსტოპის ძე ყიფიანი,
მთავარი ბულატერი ამავე ბანკი-
სა, თავ. დავით ალექსანდრე ძე
გურამიშვილი, ზედამხედველი კო-
მიტეტის წევრად ნამყოფი და თავ.
ვეზირიშვილი თელავის მოპრიგე-
ბელი შუამავალი.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის, მიიღებინ ავადმყოფ-
ნი: ძინაგახასა, სერგეისა, საქარუ-
გა, თვალასა და დედათა ჯადმყო-
ფობასა.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მი-
იღებინ:
ავადმყოფთ სინჯავენ დღის 11
საათიდან ნაშუადღევს 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფ-
ურიასი**. საქირურგიო ავადმყოფობას
და სიფილისს **ფ. პ. ბარაბტი**.
დღეათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი **მ. თ. კობახი**.
20 მაისიდან — დღეათა ავადმყოფო-
ბის და აკუსმერობის **Д-რ ჟ. ბა-
ცაიანი**.
თვალეების ავადმყოფობას — **ი. პ.
მარშაქი**.
ამბულატორიაში არის კაბინეტი,
საქიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონი-
თერაპიისათვის და სხვისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თო-
ფურიასი**.
Амбулатория С. В. Тофурия въ Кутаисѣ.

* * * ტფილისის საზოგად-
სადავალ-მაძულა ბანკის საზოგადო-
ებამ, რომელიც დანიშნულია 19
აპრილისათვის, უნდა განიხილოს,
გარდა გასული 1897 წლის ანგა-
რიშისა და 1898 წლის ხარჯთ-
აღრიცხვისა, შემდეგი მოხსენებ-
ანი: საზოგადო სასარგებლო თან-
ხის განაწილების შესახებ, ბანკის
წევრად ჩარიცხვისა და მიღების
წესების მოწეს-რიგების შესახებ,
გირავნობის ფურცლებით ვენახე-
ბისა და ხეხილის ბაღების დაგირა-
ვებით სესხის გაცემის შესახებ,
ტფილისის მომავალ პოლიტექნი-
კუმის შემწეობის შესახებ და სა-
შიწად-მოქმედო-სახელოსნო მოსაქ-
ცევ კოლონიებისა და თავშესაფარ-
ების შემწეობის შესახებ.
ამავე კრებაზე მოხდება ჩვეულებრი-
ვი არჩევანები მოსამსახურე პირთა:
გამგეობის წევრისა, ნაცვლად გა-
დაცვალეულ თ. დ. ავალიშვილი-

სა და დამფასებელ კომისიის ორი
წევრისა, ნაცვლად ა. ნ. ფურცე-
ლასისა და თავ. გ. ს. ციციშვი-
ლისა, რომლებსაც ვადა გაუვიდათ.
* * * სახელმწიფო საზოგად-
სადავალ-მაძულა ბანკის ტფი-
ლისის განყოფილების მოქმედების
გაძლიერების გამო ბანკის გამგეო-
ბამ აუწყა მთავრობას, გამო-
გვიგზავნეთ კიდევ ერთი დამფასე-
ბელი; ამ სახით განყოფილებას
ეყოლება სამი დამფასებელი და
ამით, რასაკვირველია, მოისპობა
მამულის დაფასების დავიანება.
* * * თავ. დასასამაის მოკვლის
საქმე, რომელიც ბრალდება სოფ.
ბრილის სამ გლეხს, დანიშნულია
განსახილველად ტფილისის სამო-
სამართლო პალატაში 5 მომავალ
მაისს.
* * * ტფილისის სამოსამართლო
პალატას უფროსი თავმჯდომარე
სენ. ს. ბ. ვრასკი გუშინწინ სამ-
სახურისა გამო პეტერბურგს გაემ-
გზავრა.
* * * შეფუტკურთა კრება კავკასი-
აში. მიწად-მოქმედების მინისტრმა
დაამტკიცა შეფუტკურთა იმ კრე-
ბის თავმჯდომარედ, რომელიც
მოწვეულ იქმნება წელს კავკასია-
ში რუსეთის საზოგადოების მიერ,
პროფესორი გლახენაძი, ხოლო
მდივანდ იმავე კრებისა — კავკასიის
მეაბრეშუმეობის სადგურის მმარ-
თველი ბ. შავროვი.
* * * განათლების განყოფილება ფა-
ქტუალურად კავკასიაში. როგორც იმის,
შინაგან საქმეთა სამინისტროს სა-
ქურნალო განყოფილებაში აღმ-
რულია კითხვა იმის შესახებ, რომ
კავკასიაში იქმნეს განათლება
ვარმაკეტებისა და აფთეკის შე-
გირდებისათვის, და თანაბრად ამი-
სა შეტანილ იქმნეს ცვლილება
მათ სამოსწავლო პროგრამებში.
* * * განსახილველად მოსახლეს
ბრძანდა რადგან ადგილობრივი ყას-
სები ხშირად ძროხის ხორცად
ასაღებენ კამეჩის ხორცს, ამის
კამო სასანიტარო სამკურნალო
საბჭომ განკარგულება მოახდინა
იმის შესახებ, რომ ყველა საყას-
ბოში გამოკიდებულ იქმნეს იმ
ბექტების ნიმუშები, რომლებიც
სავალდებულოა ხორცის და, სხვა-
თა შორის, კამეჩის ხორცის და-
საბექლად.
* * * მასაღება ვეზამეხია საქა-
ვში ინსტიტუტში გაიმართება
16 მაისს და დაიწყება სწორედ
1 საათზედ დღით. ასეთივე ვეზა-
მენები იქმნება სექტემბერშიაც.
16 მაისს არ გამოიკიდებინ ის
ქალები, რომელთაც სურთ შესე-
ლა მე-VI კლასს ზევით.

* * * ტფილისის ზოღადმეცნიერ-
თ. ს. ს. ლ. პ. მასტიკის თით-
ქმის სრულიად მოურჩა ის ნატ-
კენი, რომელიც მან 6 აპრილს
მიიღო და შაბათს განზრახვა აქვს
კანცელარია ინახულოს
* * * სამკურნალო სახელოსნო მე-
ტყესა ცახეში. როგორც იმის
ტფილისის მეტყის ციხეში ამას
წინად დაარსდა სამკურნალო სა-
ხელოსნო, რომელშიაც მოამზა-
დებენ ტანისამოს ყველა უწყების
მოხელეთათვის ქ. ტფილისში.
ხელ ფასის გადახდა შეიძლება
ნაწილ-ნაწილად შემდეგი პირობე-
ბით: ის მოხელე, რომელსაც სურს
ტანისამოსი შეუქვეთოს ციხის
სახელოსნოში, ღებულობს იმ და-
წესებულებიდან, საცა ის მსახურებს
სათანადო განცხადებას, რომე-
ლიც უნდა წარუდგინოს ბესთან
ერთად (სრულ ხელ-ფასის 1/2)
სახელოსნოს. ხოლო იმ დაწესე-
ბულებს, სადაც მსახურებს, უნდა
მისცეს ხელ წერილი, რომელიც
ხელ-მოწერილი უნდა იყოს ორი
თავდების მიერ. სამკურნალო სახე-
ლოსნოს ვახსნის ინციტატორად
მიწვეულია ერთი ტფილისელი
მკურნალი რამდენიმე თანამეწი-
თ, რომელთაც ციხეში მიცემული
აქვთ საკუთარი სადგომი; ხოლო
მასალას ტანისამოსისათვის მოაწო-
დებს სახელოსნოს ერთ ერთი სა-
უკვლესო მალაზია ტფილისში.
* * * კრება ჭარბან საქანლის შე-
სახეში. 15 აპრილს იმ კრებამ, რო-
მელიც მოწვეულ იქმნა კავკასიაში
ქირიან საქონლის დახოცვის შე-
სახებ, დაადგინა: შემოდებულ იქმ-
ნეს ქირიან საქონლის დახოცვა
კავკასიაში და ყველა იმ შემთხვე-
ვაში, როცა საქონელს აშკარად
ეტყობა ქირიანობა, ან აცივებს;
ეს წესი შეიძლება დაირღვეს მხო-
ლოდ განსაკუთრებულ შემთხვე-
ვაში, საგუბერნიო მთავრობის ნე-
პართით; ხოლო საექმო პირუტყ-
ვის დახოცვა მიენდოს საქონლის
ქირის კომისიების გადაწყვეტილე-
ბას.
იმ საგნის შესახებ — მართო ძა-
ლით დახოცილ საქონლისათვის
გაიცეს სასყიდელი, თუ თავის-
თავად დახოცილისათვისაც, და თუ
გაიცემა, რა შემთხვევაში, კრებამ
დაადგინა: გაიცეს სასყიდელი სის-
რულით ყველა ძალით დახოცილ
საქონლისათვის, ხოლო თავის-თა-
ვად დახოცილ საქონლისათვის
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის
დასწრებულს შესახებ თავის დრო-
ზე ეუწყა სათანადო მთავრობას და
თუ საქონლის ქირის კომისია არ
მისურთ ადგილზე, სადაც ქირი
აღმოჩნდა.
* * * უწყობა კუკაის სასაფლაო-
ზე. 14 აპრილს ჩვეულებრივ კუ-

კის სასაფლაოზე საფლავები აკუ-
რბეს. ამ დღეს სასაფლაოზე აუა-
რებელი ხალხი შეგროვდა. სხვათა
შორის, მრავლად იყვნენ მთხოვე-
რები, რომლებიც უმეტეს ნაწი-
ლად იგონებოდნენ — ზოგი სიბო-
რავეს, ზოგი კოკლობას და სხ. და
არავის მოსვენებას არ აძლევდნენ.
მთხოვრებს თქვენი ქირი წაუღიათ,
ჯიბიგებმა მთლად აიკლეს საზო-
გადოება. სწორედ გასაოცარ ხრი-
კებს სჩადიდოდნენ ეს ვაჟბატონები.
ერთი მათგანი რომ ჯიბიდან ვის-
მე ფულს ამოაცილიდა, გადასცენ-
და თავის გვერდით მდგომ მეორე
ჯიბიგირს, მეორე გადასცემდა მე-
სამეს, მესამე-მეოთხეს და სხვ. და
შემდეგ ყოველად შეუძლებელი იყო
ფულის მოძებნა პატრონისაგან.
აი კიდევ როგორი ხრიკი მიუგ-
დეს ჯიბიგებმა ერთ რუსს, რომ-
მელსაც მათ ასი მანეთი შეამჩნიეს
გულის ჯიბეში. რადგან ძნელი
იყო ხელის ჩაპარება გულის ჯი-
ბეში, ჯიბიგირები ადგნენ და ცეცხლ-
მოკიდებული ახელი ჩაუგდეს რუსს
კისერში, რომ ამ უკანასკნელს
ტანისამოსი გაეძრო და თავისი
ფული უფრო ხელ-მისაწდომი გაე-
ხანდა ჯიბიგირებისათვის. კიდევ
საუცხოვოდ მიახწიეს ამ ვაჟბატო-
ნებმა მიზანს. გააჩრია თუ არა
რუსმა დამწვარი კისერი, ცეცხლი
კიდევ უფრო ძირს ჩავარდა, და
ზურგ-დამწვარმა რუსმა მსწრაფლ
გაიძრო სერთუკი, რომელშიაც
100 მან. ჰქონდა. ჯიბიგირებმა,
რომლებიც ფაცი-ფუცოდნენ მის
გარშემო, თითქო ეხმარებიანო,
ხელთ იგდეს სერთუკი და ამოა-
ლაგეს იქიდან 100 მან. შემდეგ
რუსმა ბევრი იღრიალა, ფულები
მომპარესო, მაგრამ გვიან-და იყო,
ქურდი ვეღარ აღმოაჩინეს.
ჯიბიგირებზე არა ნაკლებ შეა-
წყუნეს საზოგადოება სხვა-და-სხვა
სასწავლებლის მოწაფეებმა. ესენი
დასდევდნენ უკან მოსვირნე ქაღ-
ავებს და შეურაცხყოფას აყენებ-
დნენ მათ. განსაკუთრებით, ეს ვაჟ-
ბატონები არ ასვენებდნენ „უკა-
ვალროდ“ მოსვირნე ქალებს, მაგ-
რამ ხშირად არც კავალრებს ეყო-
ვოდნენ და ქალებს მოურიდებლ
სიტყვებს ესროდნენ. სხვათა შო-
რის ეკლესიის ალყაფის კარებ-
თან შემდეგი სცენა გამართა ორმა
პიწის გაზომვის სასწავლებლის შე-
გირდმა, ორმა გიმნაზიკმა, და
ერთმან კიდევ ვინღაც „კაპარდო-
სანმა“. ესენი დამწვარიყვნენ ერ-
თი დამის მხლობდალ და ვაგებთ
ბაასი ფიზიკური სწავლების შესა-
ხებ. შემდეგ მიმართეს ქალების ძმას
პაპროსისათვის პიწის სათხოვე-
რად. როცა უკან შევიდნენ მათ თხოვე-
ნა აუსრულა, ისინი წარუდგნენ
მას და თავი გააცვენეს; შემდეგ
მოესწროვს მისი დის გაცნობაც,
მე-11 საწვილმა მათ უარი უთხ-

რა. ამ დროს გამოტყვრა ერთი გომნახიელი, მას მიემხრო ერთი სიწის შობილი შევირდი და დაუწყეს ლანძღვა უკანაშაულო და ძმას. ამას არ დასჯერდნენ, მივარდნენ ქლს და ძალით ხელი ამოართვეს; ქალმა დაიკივლა და ასტყდა ჩხუბი ქალის ძმასა და იმ ხუთ ვაჟბატონს შუა. მაგრამ ბედზე პოლიციელი განაღდა და გააშველეს მაჩხბებები.

სამოვლადისა და შაშის უბეღურა შედეგა. ხუთშაბათს 16 აპრილს ნაძალადეგში მოხდა შემდეგი უბედური ამბავი: რკინის გზის სახელოსნოს მოხელე ტოტია გაჩავეს, ნაქვიფარს სახლში სძინებია; შუალამისას ამდგარიყო და შემოხრუნებისას არეოდა გზა და თავის კარების მაგივრად მისულიყო მეზობლის კარებთან და დაეწყო რახუნის; ამ დროს მეზობელი ამდგარიყო და დაეძახნა ვინა ხარო, მაგრამ მოვრალს პასუხი ვერაფერი მიეცა. მეზობელს გვარად კრასნილიკოვს შეშინებულს აეღო თოფი და ფანჯრიდან ესროლნა. თოფი გატყნილი ყოფილა საფანტრით, და რადგანაც გაჩავეს ახლოს მდგარიყო ძრიელ არის, თურმე დაჭრილი. გაჩავეს წაიყვანეს მაშინათვე რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს. ამბობენ შეტად მძიმედ არის უაჭრილიო. გაჩავეს ჰყავს ცოლი და წვრილი შვილებიო.

საძალადეგის შეწყობა. აქ ხალხი ისე შეწყობა ღამის ქურდბაცაცებისგან, რომ თუ ყურადღება არ მიაქცია ვისიც ჯერ არს, ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩაივივიან. დილა არ გათენდება ისეთი, რომ საბრალო მუშის ცოლი არ ჩიოდეს წუწუნით ან ქათმის, ან ბატის, ან სხვა შინაურ ფრინველის და ცხოველის დაკარგვას. უიმისოდაც ფურღაკარგულს და მუშაობისგან წყდში მოხრილ მუშას ეს ვარემოვაცა ზედ ერთვის და ძალზე ამწარეს, არ იცის საბრალოდ ვის მიმართოს და როგორ დაასწიოს თავი ამ განსაცდელისაგან.

14 აპრილს ერთ მუშას, რომელიც რკინის გზაზე მსახურობს თავის შინ არ ყოფნის დროს მოპარეს ძროხა, რომელსაც იმავე ღამეს უნდა მოეგო. საბრალოდ მთელი ზამთარი გამოკვება და როდესაც დაუდგა დრო სარგებლობისა, მაშინ გამოაცალეს ხელიდან. წარმოიღვივებო ფრინველის დაკარგვით მწუხარე მუშას რა გვარ ვხარს დასცემდა ძროხის სამუშაო დაკარგვა; რომლისაგანაც დაუკარგულში გამოკვებას მოელოდა. აქველა ქალაქის ნაწილზედ უფრო იტიკომ არის გახშირებული მუშების ესრეთი საქციელი, რომ ყველად შეხვედებით, როგორც ღამის უმაგ პოლიციელებს, ისევე ფარეს, რაც ერთობ ხელს უწყობს მათ ბოროტ-სურვილს. ქურდობაში და ხელოვნებულმა რანდებმა კარგად იციან ნაძალადეგელთა ასეთი უკურონო მდგომარეობა, ისიც კარგად იციან, რომ

მთელი დღის მუშაობით დაქანცულს მუშას ადვილათ ვერ გამოაღვიძებს კლიტეების მტრევე და ამიტომაც არის რომ ვერც ერთხელ ვერ გაჰყვებს თავი მახეში და მუდამ გახარებულნი და გაპარჯებულნი ბრუნდებიან იმ ახრობა, რომ მეორე დღეს იგივე დღე დაყენონ სხვა რომელიმე ნაძალადეგში მცხოვრებ მუშას. ნეტა არაიენ იქნება ქრისტიანი, რომ მისხედოს მუშების მწუხარებას.

დ. ოჩამჩირა. ვადაკ აფთხაქას გამოა. არა ერთხელ იყო მოხსენებული რუსულსა და ქართულ გაზეთებში ოჩამჩირის აფთხაქის მდგომარეობა, მაგრამ დღემდე არაფერი გვეშველა. თქვენ წარმოიდგინეთ ერთადერთს კაცს აფთხაქიც აქვს; ავგენიც არის მესელაურ საზოგადოებისა და ხომალდებისა დაბის დეპუტატიც და სასტუმროს პატრონიც. დეე; თუ უნდა სამიკიტნოებიც გააღოს, მაგრამ ჩვენ ისა ვთქვათ, წამალს ვინ მოგვცხებს? დიდი ბედნიერებაა, თუ აფთხაქში პროვიზორს შეხვდით როცა დაგვირდება მაშინ! ის მუდამ სხვა საქმეებშია გართული და მანამდე უნდა უცადო სანამ ის სხვა საქმეებს მიაწყობაწყობდეს თუნდ ასეთ ლოდინში მთელი დღე გასტანო. ან და სად წახვალ, ოჩამჩირეში ერთი აფთხაქის მეტი არ არის... ხანდისხან წამალს იძლევა ვიღაცა ხელზე და წამიკებულ არდაგი წამოფარებული ქალი, რომელიც წამ-და-უწყუმ შიძახის: „რჯულის მადლმა, ეს ძალიან კაი წამალია. იყიდე და მაშინათვე განიკურნება ავთხაქიო“. ნუ თუ ასეთი წამლის მიღება საშიში არ არის. საშიშია და კიდევაც უფროსის ვინც ვაგებულობა, მაგრამ გაუგებრებს რა ეშველება? ამისთვის კიდევ ერთჯერ ესთხოვთ, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ ამ ამბავს—აფთხაქი თუ აქვს, აფთხაქში უნდა ბრძანდებოდეს, ან და თანაშემწე იყოლიოს მაინც, როგორც სხვა აფთხაქებშია.

მ. ბათომი. კვარაცხელიას ბუროთაობა. 12 აპრილს, კვირაცხოვლობას, ჩვეულებრივი ბურთაობა გვექონდა გურულ-მეგრელებს ქ. ბათომიდან ვერსტ ნახევრის მანძილზე. დასავლეთის მხრით, „ბატარის“ მახლობლად, დიდს და განიერს მინდორზე. ხალხი შეიკრიბა ოთხ საათზე და ის იყო დაიწყეს ძახილი, ბურთი გავაგდოთო, მაგრამ ერთმა ცხენოსანმა საბატო ბირმა გამოუცხადა, ხუთ საათზე გავაგდოთ ბურთიო. შესრულდა ხუთი საათი — გაიგდეს დიდი უხარ-მახარი ბურთი და გაისმა ყვირინა—ვაშა, ბიჭებო, ვაშაო! და მართლაც წამოვიდა ბურთი გურულების „ლელოსკენ“. სამოცი საყენის მანძილამდის და ესთქეთ, სწორედ გურულები გაიმარჯვებენ დღესო, მაგრამ ჩაბხი გადატრიალდა, ბედმა გაუღიმა მეგრელებს, ბურთი იბრუნეს თავიანთ ლელოსკენ, დასძახეს—არიქა ბიჭებო, გა-

მარჯვება ჩვენიაო და მართლაც მეგრელებმა გაიმარჯვეს. ბურთი მიიტანეს ლელოსთან ახლო, იქ გასტრეს პატარ-პატარა ნაჭრებად და იქიდან სიშღერით, ბაირალით და საერთო სიმხიარულით წამოვიდნენ ერთად გურულ-მეგრელები.

მ. ფოთი. „სადგაშა გადაჩრქინაღა რჯარმა დასხრნა“. არამგონია, იმის უარესს და გულშემზარავ სურათს შეხვედეს ადამიანი სადმე, რომელიც მოხდა გასულ მარტის 30 საღამოს. ექვსი საათი იყო, (ჯერ კიდევ სინათლე) რომ ფოთის ნავთ სადგურს მოადგა რუსის საზოგადოების სავაქრო და სანავოსნო ფოსტის გემი „ალექსი“. ამ გემში ისხდნენ შარტო ფოთში მომავალი 400 მდის მგზავრები, — განსაკუთრებით ზღვის ნაპირას სხვა და სხვა კუთხეებში სამუშაოთ გარდახვეწილი ქართველები. ხეს გემი მის მაგიერ, რომ შიგ ნავთ-სადგურში შემოსულიყო და პირდაპირ ბოლახზე მომდგარიყო, რაღაც, ჯერაც გამოურქვეველ მიზეზების გამო, გარეთ, შიგ ზღვაში გაჩერდა და მოითხოვა ფილუკები ფოთში მიმავალ მგზავრების ნაპირზედ გადმოსაყვანად. ორი ფილუკა, რომელიც ხალხით იყო გაქედილი, რაღაცა სასწაულით გამოვიდა მშვილობით, მხოლოდ მესამე ვეღარ შეიმაგრა იმდენი მგზავრი (23 მგზავრი) და სიმძიმის გამო დაიძირა და თანაც წარიტაცა ერთბაშით შიგ მსხდომნი. ბედათ გემზე ასეველი კიბესთან იყო გაჩერებული ერთი ფილუკა, რომელიც ელოდა ხალხის ჩამოსვლას გემიდან, რომ ნაპირს გაეყვანა; ამ შეფილუკემ, დაინახა თუ არა ასეთი შემთხვევა, იმ წამსვე მიამეგლა ფილუკა და გადააჩინა ცხრამდის. თუმცა ხედვდა სხვებსაც, როგორც მიდიოდნენ ქვეით-ქვეით ზღვის უფსკრულში, მაგრამ მეტის შველა ვეღარ მორთო. ამ დროს (თუმცა ძალიან დაგვიანებით), კაპიტანმა დაიძახა ჯერ: спустить бочковую და მერე носовую шлюбку, მაგრამ თქვენც მიხვდებით, რომ სიკვდილს შემდეგ სინანული რალას გააკეთებდა!! ამ დროს გემზედ ასტყდა წვილი-კივილი და თანაც ემუღარებოდნენ კაპიტანს, შესულიყო ფოთის სადგურში, მაგრამ კაპიტანი ურჩევდა იმათ ბათომში წასვლას და ის იყო გემიც მოაბრუნა და ბათომისაკენ დააკვებინა პირი, რომ ამ დროს სულ ყველანი იარალით თუ უიარალოთ მისცივდნენ კაპიტანს და სიკვდილს ემუქრებოდნენ. ვინ იცის რამდენი სისხლი დაიდგროდა მართლთაოთ გემზე, რომ ჩვენ და საბედნიეროთ აქ არ შეხვედროდა იმ დროს მგზავრათ ყველასადმი პატივცემული ჟანდარმის პოლკოვნიკი ბ. ქარქაშვილი, რომლის მეოხებით მგზავრებიც დამშვიდნენ და გემიც მიაყენეს ბოლახზედ, რათა დანარჩენი მგზავრნიც მშვილობით გამოსულაყვენ. ეს ამბავი აცნობეს ჩვენს დაუღალავ და გამარჯვ ქალაქის თავს ბ. ნიკოლაძეს, რომელიც ცნობის უმაღლეს იქვე დაიბადა, პოლიციმესტერს,

ს. ლანიჩი. (იმერეთი) უნდაც რახო და უწყეო შეშაღა, 10

მსაჯულს, ექიმებს, ბოქაულს და სხვ. მოწვეული იყო აგრეთვე ფოთის პოლიკის ჯარის კაცი წესრიგის დასაცველად. თვითონ კაპიტანი და გემი გაჩერებული იყო ეორე დღის დღის ხუთს საათამდის, რომლის შემდეგ ის გაემგზავრა ბათომისაკენ. ეს უბედური შემთხვევა მეხვიით მოედვა მთელ ქალაქს. საიღამაც დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი გარბოდნენ ბუბტში გასაგებათ, მათი ნათესავთაგაი ხომ არაიენ დამხრჩვალაო და თანაც დევეშებს აფრენდნენ აქეთ იქით და ეკითხებოდნენ, რომ ეს და ეს კაცი ამ გემით ხომ არ წამოსულიაო. იმ ღამესვე ამოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი ერთი 12 წლის ბავშვი, რომელიც სამხედრო საავადმყოფოში დაწვიეს და იმ ღამესვე გარდაიცვალა. ოთხშაფათს ბევრი ძებნის შემდეგ იოკეს ოთხის გვამი. ერთ იმათგანს ფულებიც ჰქონდა უბეში შენახული. რასაკვირველია, საწყალს რამდენი ტანჯვა დაგვიტ და ვაი-ვაგლანით ექნებოდა შეძენილი. ფიქრობდა ამ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის დღესასწაულების სახლში ცოლ-შვილთან ტკბილათ გატარებას, მაგრამ აქაც უმუხთლა მას ბედმა. მეორეს კიდევ ისე მოეჭირა ხელი ხურჯინისათვის, რომელშიაც იყო ჩაწყობილი სხვა ღმ სხვა სახელოსნოები, რომ ხელი საწყალს ზედვე შესცივებოდა. ორნიც სხვა მეორე დღეს ამოიღეს. სულ არის ამოღებული შეიღი გვამი. როგორც ამბობენ, სულ დამხრჩვალი უნდა იყოს 13 სკელი, მხოლოდ იმათში შეიღის მეტი ჯერ ვერ უბოვიათ. იმათ შორის, როგორც ამბობენ ერთი ოფიცერიც უნდა იყოს, თუმცა ნამდვილი არაიენ იცის და არც დამამტიცებელი საბუთები სჩანს. აქ საქმის გამოსაძიებლად მოაბრძანა ბ. კოვეჩი, რომელმაც დაწვილიებით გამოარკვია საქმე და თანაც გვამები გააქრევინა. ზოგიერთნი იმათგანი გუერნატორის ნება-რევიით ჩაბარეს ქრისთფლებს, მხოლოდ დანარჩენებისგან (რომლებსაც არავითარი ქრისთფელი არ აღმოსჩენია დღემდის), უნდა გადაეღოთ ფორტგრაფიული სურათი დასარიგებლად ყველა ადოლებში — გამოსაცნობათ და შემდეგ დაესაფლავებიათ ადგილობრვ საქალაქო სასაფლაოზე.

ს. ლანიჩი. (იმერეთი) უნდაც რახო და უწყეო შეშაღა, 10

აპრილს აქ მოხდა მეტად შემაწუხებელი ამბავი: წვრილი ცოლ შეიღის პატრონი ვინმე პავლე გავლია, და წარსულს წელს შეიღი გაუვიცა და ამის ჯვარით და დარღით საწყალი პავლე გავლიაც და შესცდა ქეუზე ტყეთ და ქინდრათ დარბის. საცოდავს ხეთიც რამდენჯერმე უკუბრუნეს, მაგრამ ვერაფერი ეშველა. ამ უკანასკნელ დროს ტყეთ დარბის და კაცსაც ერჩისო, მეტად საჭიროა ამ საბრალოს მიაქცივდეს ყურადღებას ადგილობრივი მამასახლისი და დააბინავებდეს სახლში ნებით თუ ძალით, სანამ საბრალოს სული უღვას.

დ. რანდა (აფხაზეთი). საავადმყოფოს გაქურდვა. თავათ აღდგომა ღამეს გაქურდეს დრანდის უფასო საავადმყოფო-თავ-შესაფარი. წადებულია ტანთსაცმელები და ხალათები, რომლებიც მისაღებ ავადმყოფთათვის იყო შენახული. ქურდები ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერას გახდნენ და ბოლოს ეჭვი მიიტანეს იქვე მოსამსახურე რუსის ბიჭზე და ერთს მის ამხანაგზე და ორივე დაატყვევეს, მაგრამ მეორედღეს, როდესაც მკურნალნი მოვიდა სოხუმის საქმის გამოსაძიებლად, ორივე შენიშნულნი განთავისუფლდა და მეტი არაფერი განკარგულენა და ღონისძიება აღარ უხმარათ დაკარგულ სახაზინო კუთვნილებათა საპოვნელად.

რედაქციისაგან

შვირილაში. ერთს მრევლთა ვანს. თქვენი წერილი ყოვლად მოუხერხებელი დასაბეჭდად. გირჩევთ ამავე წერილით მიმართოთ ამწყვეტის რედაქციას და უეჭველია აქამ კითხვას შესაფერ ყურადღებას მიაქცივენ.

მალახში. ვარდენ უჩხობელს. თქვენი ცნობა მეტად დაგვიანებულია.

ბანსხალეზანი

ტყვილისის ქალაქის გამკეობა.

ამით საუფუქლოთად აცხადებს, რომ ამ აპრილის 21, დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შენობასზე, რომელიც უნდა აგეოს ავჭაღაში ქალაქის წელის მიღის-სტავის; შენობა იქნება დიდი ბუთი 7000 მანათ. მსურველნი ამ იჯარის ადებისა, მიმართავენ გამკებრას ეოვლე დღე სასურთომოდღურა განყოფილებაში, სადაც ტვიცნობენ ეოვლეივე ღირბას ამ საქმისას დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდე.